



ქართული ქრონიკა

10 ლეკიანთა, 1989 წელი.

No-56

25 - 26

ნოემბერი

1989 წელი

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის გაზეთი

გამოქვეყნდა 1988 წლის 10 მაისიდან

საქართველოს ეროვნულ - დემოკრატიული პარტიის II კონგრესი



წელს, 25-26 ნოემბერს ჩატარდა საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის II კონგრესი

კონგრესის მუშაობაში ელკ-IV დასის დელეგატებთან ერთად მონაწილეობდნენ: ქართველი ინტელიგენციის წარმომადგენელთა დიდი ჯგუფი, ლიტვის, ესტონეთის, სომხეთის, უკრაინისა და რუსეთის წამყვანი პოლიტიკურ-ოპოზიციური ორგანიზაციების ხელმძღვანელები;

კონგრესი გაიხსნა ლოცვით; შესრულდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პიმნი; წუთიერი ღუმლით პატივი მიეგო 9 აპრილს დაღუპულთა და მერაბ კოსტავას ხსოვნას.

კონგრესის თავმჯდომარემ კარლო ბარდაველიძემ დამსწრეთა გააცნო დღის წესრიგი, მანვე წაიკითხა საზღვარგარეთიდან მოსული მისასალმებელი დეპეშები: თენგიზ გულაგასაგან (მიუნჰენი), ელუარდ გულაგასაგან (ნიუ-იორკი), ვლადიმერ ბუკოვსკისაგან (კემბრიჯი), ჰეიკო ახონენისაგან (მიუნჰენი), პეტრო რუბანისაგან (ფილადელფია), ვიტაუტას სკუოდისისაგან (რიკავო), იაკობ სუსლენსკისაგან (იერუსალიმი), ანატოლი კარიაგინისაგან (ციურიხი), პარული არიკიანისაგან (ლოს-ანჯელესი).

მისასალმებელი სიტყვები წარმოთქვეს: დავით მჭედლურმა, ლევან ხაინდრავამ, ლეონარდას ვილკასმა (ლიტვის თავისუფლების ლიგა), ლეონარდ ტუბაშვილმა, სანდერ სისმა (ესტონეთის დამოუკიდებლობის პარტია), ირაკლი კაკაბაძემ, დავით ტურაშვილმა, სოსო ბარათაშვილმა, აკაკი ბაქრაძემ, თენგიზ ცინცაძემ.

ფორუმის მონაწილეთა წინაშე სააზრობითი მოხსენებით წარსდგა ელკ-ს თავმჯდომარე გიორგი ჯანტურია, რომელმაც შეაჯამა პარტიის გასული წლის

მუშაობა. ელკ-ს პოლიტიკურმა მიდევანმა მიმუქა გიორგიანმა ვრცლად ისაუბრა ორგანიზაციულ საკითხებზე, ყურადღება გაამახვილა პარტიული დისციპლინის განმტკიცებაზე, ფინანსურ მხარეზე. რეგიონული ბიუროების მუშაობაზე ისაუბრეს. ვ. ზენაიშვილმა, დ. კვარაცხელიამ, გ. ბუაძემ, ბ. ბეციაშვილმა, გ. მელუავეამ, ა. ჯიქიამ, ბ. ჯოღობაძემ.

პარტიის საგარეო კონტაქტებთან დაკავშირებული პრობლემები მიმოიხილა ელკ-ს მიდევანმა ირაკლი ქალაგიშვილმა.

კონგრესმა მოისმინა პარტიის პრეს-მდივნის ირინა სარიშვილის შემაჯამებელი მოხსენება. აღინიშნა, რომ გასულ წელს პრესცენტრის საქმიანობაში შეინიშნებოდა ხარვეზები. გაანალიზებულ იქნა ამ ხარვეზების გამოწვევი ობიექტური და სუბიექტური მიზეზები; კიდევ ერთხელ დიდი ყურადღება დაეთმო პრესცენტრის ფუნქციების საბოლოო ჩამოყალიბება-დახვეწას აქვე აღინიშნა, რომ ელკ-IV დასის პრესცენტრში რადიოსადგურ "თავისუფლების" თხოვნით ჩამოყალიბდა ამიერკავკასიის საინფორმაციო ცენტრი, რომელიც გაცილებით მეტ პასუხისმგებლობას აკისრებს პრესცენტრის შემდგომ მუშაობას. საუბარი იყო, აგრეთვე, კომპარტიის მონოპოლიის ზეგავლენით გამოწვეული დაბალი ჟურნალისტური პროფესიონალიზმის თაობაზე, სახელდობრ, პარტიული (ნებისმიერი პარტიის) და დამოუკიდებელი პრესის ფუნქციების ერთმანეთში აღრევაზე და ამის შედეგად, ხშირად, ელემენტარული ჟურნალისტური ეთიკის დარღვევაზე.

კონგრესმა პირველი დღე დაამთავრა არჩევნებით: დამტკიცდა რეგიონულ ბიუროთა შემადგენლობები, არჩეულ იქნა მთავარი კომიტეტი ძველი შემა-

დგენლობით: თავმჯდომარე - გიორგი ჯანტურია, პოლიტიკური მიდევანი - მიმუქა გიორგიან, მდივანი - ირაკლი ქალაგიშვილი, პრეს-მდივანი - ირინა სარიშვილი, საზღვარგარეთის ბიუროს თავმჯდომარე - თენგიზ გულაგა, წევრები: ვანო ხუხუნაიშვილი, გურამ ჩახვაძე, გიორგი ახალაია.

მეორე დღეს, მუშაობის დაწყების წინ ლოცვა აღავლინა მამა ვახტანგმა (ასათიანი).

პარტიის სამომავლო გეგმებზე, ელკ-ს ტაქტიკაზე მოხსენებით გამოვიდა გიორგი ჯანტურია, მან ვრცლად მიმოიხილა ზოგადად ქართული ეროვნული მოძრაობის სადღესო მდგომარეობა, წაიკითხა წერილი "რას უპირებს კრემლი საქართველოს".

მომდევნო ორი საათი დაეთმო ე.წ. თავისუფალ გამოსვლებს. სიტყვები წარმოთქვეს: პოეტმა ჯანსუღ ჩარკვიანმა, კინორეჟისორმა ელდარ შენგელაიამ, სომხეთის ეროვნული წინაპარლამენტის თავმჯდომარე ფელიქს საფარიანმა, საქართველოს დემოკრატიული პარტიის წევრმა თენგიზ შარმანაშვილმა, სახალხო-შრომითი კავშირის (HTC) წევრმა როსტისლავ ევლოკიშვილმა, მწერალმა ედიშერ გიორგიანმა, რუსეთის ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირიდან მამა ვიქტორმა, ელკ-IV დასის წევრმა გიორგი ნუცუბიძემ, უკრაინის ქრისტიანულ-დემოკრატიული ფრონტის თავმჯდომარე ვასილი სიკომ, ეროვნული სამართლიანობის პარტიიდან თამაზ წერეთელმა, კინორეჟისორმა ნანა მჭედლიძემ, ელკ-IV დასის წევრმა ალექსეი მინციჩიმა.

კონგრესმა უკიდურესად უარყოფითი შეფასება მისცა ა. წ. 23 ნოემბრის

აქციას სამარიაზოში. ამ აქციამ, სადაც ერთმანეთში იქნა აღრეული პოლიტიკური ბრძოლისა და ომის კანონები, ხელი შეუწყო კიდევ ერთი ხელგუნური "ცხელი წერტილის" შექმნას საქართველოში; ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის აზრით - აღინიშნა კონგრესზე - 23 ნოემბერს ამ აქციის მოწყობა იყო უმძიმესი პოლიტიკური შეცდომა, რომელმაც, შეიძლება, კარგა ხნით გამოიყვანოს მწყობრიდან ქართული ეროვნული მოძრაობა. საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია, ხსნის მთავარ კომიტეტში შემაჯავალ რამდენიმე სხვა ორგანიზაციასთან ერთად ამ აქციის ჩატარების კატეგორიული წინააღმდეგი იყო. ეს პოზიცია აშკარად გამოიკვეთა ეროვნული ხსნის მთავარი კომიტეტის სხდომაზეც, რის შედეგადაც არც ელკ-IV დასს და არც მის პოზიციაზე მდგომ სხვა პოლიტიკურ ძალებს აქციაში ორგანიზაციული მონაწილეობა არ მიუღიათ.

კონგრესმა დაამტკიცა ელკ-IV დასის პროგრამა-წესდება ახალი რედაქციით.

დასასრულს მიღებულ იქნა რეზოლუციები 9 აპრილის, წვევამდელთა აქციის, სომხეთ-აზერბაიჯანის კონფლიქტის, ეროვნული სათათბიროსა და ენოკომფლიქტის თაობაზე; მიმართვები საქართველოში მცხოვრები არაქართველი მოსახლეობისა და სსრკ-ის დაპყრობილი ერებისადმი.

კონგრესის დახურვის შემდეგ შედგა პრესკონფერენცია, რომელსაც ესწრებოდნენ ოფიციალური და არაოფიციალური პრესის წარმომადგენლები. დღის ბოლოს გაიმართა ბანკეტი.

ი რ ი ნ ა ს ა რ ი შ ვ ი ლ ი

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის პრეს-მდივანი

მისასალმებელი ღიადები*

კავშირი, ღირი ბრძანებით

საბაჟოველს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიას,
ივ-ს თავმჯდომარეს ბიძინა ზანტაძეს

მივსალმებით რა თქვენი პარტიის II კონგრესს და თქვენი სახით საქართველოს ყველა პატრიოტს, გამოვთქვამთ იმედს, რომ საბჭოთა იმპერიაში არსებულ ეროვნულ-დემოკრატიულ ძალთა თანამშრომლობა შემდგომში კიდევ უფრო განმტკიცდება. ჩვენი ღრმა რწმენით, მხოლოდ ერთიანი ძალისხმევით შეიძლება საბოლოო მიზნის - დემოკრატიისა და ჩვენი ხალხების დამოუკიდებლობის მიღწევა. რა თქმა უნდა, ბოლო ორმა წელიწადმა ბევრი მნიშვნელოვანი წარმატება მოუტანა ჩვენს საერთო საქმეს, მაგრამ უდიდესი გულბრწყინობა იქნებოდა გვეფიქრა, რომ ჩვენი მტერი - ტოტალიტარული იმპერიალიზმი და მისი ლიდერები თავიანთი რეპრესიული აპარატის კოლსალურ რესურსებს არ გამოიყენებენ და უბრძოლველად დაგვინებდებიან. თბილისის მოვლენები გასულ გაზაფხულზე - ეს მხოლოდ რეპრესიული იმპერიალიზმის საკავშირო დარღვევისა, რომლისთვისაც ისინი აქტიურად ემზადებიან... ჩვენ უნდა ვიყოთ ერთიანი მოახლოებული რეაქციის წინაშე, რომელიც "ეფთხი კონფლიქტების" მოგვარებით ინიღბება. ღვთის, ისე როგორც არასდროს, აქტუალურია ჩვენი "წინააღმდეგობის ინტერნაციონალის" ტრადიციული ლოზუნგი: "თქვენი და ჩვენი თავისუფლებისათვის!".

ვლადიმერ ბუაჩიშვილი
"წინააღმდეგობის ინტერნაციონალის" პრეზიდენტი

იარუსანი, იარუსანი

საბაჟოველს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიას,
ივ-ს თავმჯდომარეს ბიძინა ზანტაძეს

მვირფასო მებრძოლებო და თანამოაზრენო! ებრაულ-უკრაინულ კავშირთა საზოგადოება მივსალმებთ საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის II კონგრესს და გადმოგცემთ თავის მილოცვას... ჩვენი საზოგადოება დიდი ინტერესით ადევნებს თვალყურს საქართველოში მიმდინარე პროცესებს. ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ თქვენი პარტია არ უღალატებს ებრაელებისადმი მებრძოლად განწყობილი ქართველი ერის მრავალსაუკუნოვან ტრადიციებს და იბრძოლებს საქართველოში ებრაული ეროვნული უმცირესობის თავისუფალი განვითარებისათვის, ისრაელის სახელმწიფოსა და საქართველოს შორის მჭიდრო კავშირისათვის. გისურვებთ წარმატებებს თქვენს კეთილშობილურ ბრძოლაში.

იაკობ სულენსკი
ებრაულ-უკრაინულ კავშირთა
საზოგადოების თავმჯდომარე

შიდალაცია, აშშ

საბაჟოველს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის II კონგრესს

საქმე, რომლისთვისაც იბრძვის საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია, ახლ და გასაგებდა უკრაინელი პატრიოტებისათვის. საბჭოთა კავშირის დანგრევის იდეა ჯერ პოპულარული არ არის დასავლეთში, მაგრამ ჩვენ ამას დავძლევთ ერთობლივი ძალისხმევით, ჩვენი დამოუკიდებლობის ზუსტი ახსნით. ვუსურვებ წარმატებას ივ-ს II კონგრესს. თქვენთან არის ღმერთი, სიმართლე და უკრაინის ეროვნული პარტიით წარმოდგენილი დაპყრობილი უკრაინელი ხალხი გაუმარჯოს დამოუკიდებელ საქართველოს!

კატრო რუბანი
უკრაინის ეროვნული პარტიის
წარმომადგენელი აშშ-სა და კანადაში

მონაენი, გურ

საბაჟოველს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიას

ნება მომეცით, მოგილოცოთ და თან მადლობა მოგახსენოთ იმ მოღვაწეობისათვის, რომლითაც მივიდა ივ-ს II კონგრესსამდე. ძნელია ჩვენი გზა თავისუფლებისაკენ, მაგრამ რადგან ეს ჩვენი თავისუფლებაა, ვალდებულნი ვართ, გავიაროთ იგი. გაუმარჯოს თქვენს და ჩვენს თავისუფლებას! ღმერთი იყოს თქვენი შემწე!

პიკო აპონანი
ესტონეთის ეროვნული დამოუკიდებლობის
პარტიის წარმომადგენელი დასავლეთში

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის პროგრამა - ნუსხა

(ახალი რედაქცია)

„აქტი ბონიანი“

პრეამბულა

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების არსებობის მანძილზე ქართველი ერისათვის ნათელი გახდა:

ა. "საქართველოს კომპარტია" და ე. წ. მთავრობა არ წარმოადგენს დამოუკიდებელ პოლიტიკურ ძალას და ყველაფერში ემორჩილება კრემლს. მას არ გააჩნია დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკა და ყოველმხრივ შეზღუდულია საშინაო საქმეებშიც;

ბ. ქართველი ერი მოკლებულია თავდაცვის საშუალებებს, მისი სურვილები და უფლებები იგნორირებულია, საქართველოს ბედს მოსკოვი წყვეტს;

გ. საქართველოს არ გააჩნია სახელმწიფოებრიობა და ის არის უცხო ქვეყნის ნაწილი. ქართველი ერის ყველა საკრებო საკითხის მოგვარება შესაძლებელია მხოლოდ დამოუკიდებლობის აღდგენის შემდგომ;

დ. ერის სულიერი ცხოვრება ჩამოკვდარია, ეკლესია იმყოფება ხელისუფლების კონტროლის ქვეშ. ამის შედეგია ზნეობის დაცემა;

ე. გეგმაზომიერად ხორციელდება საქართველოს განქართველება, რაც გამოწვეულია დემოგრაფიული წონასწორობის ხელოვნური დარღვევით;

ვ. საქართველოს ბუნება ჩანაგდება. ქვეყანა ღვას ეკოლოგიური კატასტროფის წინაშე;

ზ. ქართული ენა განდევნილია საზოგადოებრივი ცხოვრების მრავალი სფეროდან. ერთაშორის ურთიერთობების ენა საქართველოში რუსულია;

თ. ქართული კულტურა, მიუხედავად ცალკეული წარმატებებისა, დაბალ დონეზე იმყოფება;

ი. განათლების სისტემა ემსახურება არა განათლების, არამედ ადამიანის სულის დამახინჯების საქმეს. საშუალო და უმაღლესი განათლების სისტემა საკრებობს არა რეფორმას, არამედ აუცილებელია მისი ძირფესვიანად შეცვლა;

კ. ქართველი პატრიოტები იღვწებიან, მათ არ ეძლევათ საკუთარი შეხედულებების საჯაროდ გამოქმნისა და გავრცელების საშუალება. ისინი იმყოფებიან დამსჯელი ორგანოების განუწყვეტელი მეთვალყურეობის ქვეშ. მათ წინააღმდეგ იყენებენ პროვოკაციებს, მიმართავენ რეპრესიებს;

საქართველოში, ისევე როგორც მთელს საბჭოთა კავშირში, ადამიანთა უფლებები გამუდმებით ირღვევა;

ლ. კრემლი ყველაფერს აკეთებს საქართველოს რუსიფიკაციისათვის;

მ. განსაკუთრებული ძალისხმევით ხორციელდება ქვემო ქართლისა და სამხრეთ საქართველოს განქართველება, რაც საფუძველია ეთნოკონფლიქტებისა.

სოვეტიზაციის შემდეგ საქართველოს ჩამოართვეს მისი ისტორიული ტერიტორიის ნაწილი და ქართველი ერის ინტერესების საწინააღმდეგოდ დაურიგეს მეზობლებს. აგრეთვე, საქართველოში შეიქმნა სამი ავტონომიური ერთეული, რომელთა შორის არის აჭარა, რომლის მოსახლეობა ქართულია და ფაქტურად ეს რესპუბლიკა არის შექმნილი რელიგიური პრინციპების მიხედვით, რაც ათეისტური სახელმწიფოსაგან სრულ მოულოდნელობას წარმოადგენს;

ნ. საქართველო არის რუსეთის კოლონია ეკონომიკურადაც. საქართველოს ეკონომიკა არის რუსეთის ერთიანი ეკონომიკის ნაწილი და სახალხო მეურნეობის დარგების განვითარება განსაზღვრულია არა საქართველოს, არამედ იმპერიის ინტერესებით.

საბაჟოველოში აკლია დამცობა საბჭოთა ხელისუფლებას, რადგან ძალადობრივად ირ-სამის მიუღებელი იყო, რომლის სხვისი ძველნი ნაწილად ყოფნა, ასევე ტოტალიტარიზმი. ძალადობრივი იბრძოლა, იბრძვის და იბრძობას დამოუკიდებლობის აღდგენისათვის.

პირითაღი ნაწილი

1. საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია არის IV დასის ავანგარდი, საქართველოს ეროვნულ-პატრიოტულ ძალთა რადიკალური ნაწილის პოლიტიკური გაერთიანება;

2. საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მიზანია საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა, პლურალიზმის დანერგვა ცხოვრების პოლიტიკურ-საზოგადოებრივ და ეკონომიკურ სფეროებში.

სახელმწიფოებრიობის აღდგენის შემდგომ ივ-ს იბრძობებს საქართველოს ისტორიული ტერიტორიების დაბრუნებისათვის (იგულისხმება საქართველოს რესპუბლიკა 1918-21 წწ. საზღვრებში);

* იბეჭედა დეკლარაციის ერთი ნაწილი. ამასთანავე მკითხველს ვაუწყებთ, რომ ტექნიკური მიზეზების გამო გაზაფხულში ვერ ვთავაზობთ ქონგრესის გვერდს სხვა საინტერესო მასალასაც. ეს მასალა იხილეთ იმონაგაზე გამოქვეყნებულ ივ-ს სხვა ბეჭდვით გამოცემებში.

რ ე ზ ე ლ უ ც ი ე ბ ი

ჩ ა ხ ო ლ უ ს ი ა I

1989 წლის 9 აპრილს ბოლშევიზმმა კაცობრიობის წინაშე კიდევ ერთი სისხლიანი დანაშაული ჩაიდინა: თბილისში, მთავრობის სახლის წინ მიმდინარე მშვიდობიანი აქცია საბჭოთა ჯარების მიერ უსასტიკესი ფორმით იქნა აღკვეთილი, რასაც შედეგად მოჰყვა ოცზე მეტი ადამიანის სიკვდილი და ასობით ადამიანის სხეულის დაზიანება. აღსანიშნავია ისიც, რომ გამოყენებულ იქნა მომწამლედი ქიმიური ნივთიერება, არის ათასობით მოწამლული, რომელთაგან ზოგიერთი უკვე დაიღუპა, მრავალი ადამიანის სიცოცხლე კი კვლავ საფრთხეშია.

ეროვნულ-დემოკრატიული პარტია თვლის, რომ დანაშაულები არის არა მხოლოდ გენერალი როდონოვი, ჯუმბერ პატიაშვილი ან რომელიმე სხვა ცალკეული პირი, არამედ, საერთოდ; საბჭოთა სისტემა, კრემლი, რომელიც ეროვნულ-დემოკრატიულ მოძრაობებს სწორედ ასეთი საშუალებებით უსწორდება.

9 აპრილის ტრაგედია დავიწყებული არ უნდა იქნას, მით უმეტეს, იმპერიის ნებისმიერ რეგიონში მოსალოდნელია ახალი ტრაგედია.

ეროვნულ-დემოკრატიული პარტია გმობს დანაშაულებრივი რეჟიმის ამ სისხლიან აქციას და მოუწოდებს ქართველ ერს პოლიტიკური გაერთიანებისაკენ, უმორჩილესად თხოვს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს წმინდა სინოდში დასვას საკითხი 9 აპრილის უმანკო მსხვერპლთა კანონიზაციის თაობაზე.

ჩ ა ხ ო ლ უ ს ი ა II

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია მადლიანად მხარს უჭერს წმინდა ილია მარტლის საზოგადოებისა და ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის მიერ ორგანიზებულ წვევამდელთა უკანასკნელ აქციას, რომლის მთავარი ლოზუნგია: "უარს ვაცხადებთ საოკუპაციო არმიის მიმართ".

მეც ვთვლით, რომ სწორედ ეს მოთხოვნაა პოლიტიკურად გამართლებული და არა ის, რომ წვევამდელთა საქართველოს ტერიტორიაზე იმსახურონ საოკუპაციო ჯარები.

ეროვნულ-დემოკრატიული პარტია მოუწოდებს ყველა წვევამდელს, უარი განაცხადოს საბჭოთა არმიაში სამსახურზე.

ჩ ა ხ ო ლ უ ს ი ა III

დღეს, როდესაც შინაგანი ბიძგებით და ეკონომიკური კრიზისით დაუძლურებული საბჭოთა იმპერია ჩიხიდან გამოსავალ გზებს ეძიებს, ის განსაკუთრებულ იმედს ამყარებს ეთნოკომფლიტებზე. კრემლმა იცის, თუ არ მოხერხდა ყველა ეროვნულ-დემოკრატიული ძალის გაერთიანება, მაშინ მის არსებობას სერიოზული საფრთხე არ ემუქრება. სწორედ ამიტომ, იმპერია ყოველმხრივ ხელს უწყობს ერთა შორის შუღლის ჩამოგდებას, განმთავისუფლებელი ძალების დაქაქვასა და ერთმანეთზე წაკიდებას, ხშირ შემთხვევაში კი კრემლი თავად გამოდის ეთნოკომფლიტების ანსპირატორის როლში.

ჩვენ შევასხენებ ჩვენს სომეხ და აზერბაიჯანელ მეგობრებს, რომ "გათიშე და იბატონეს" პოლიტიკა ახალი არ არის, ის სამყაროსავით ძველია და დამონებული ერები არავითარ შემთხვევაში კრემლის მორიგი პროვოკაციის მსხვერპლნი არ უნდა გახდნენ.

სომხეთისა და აზერბაიჯანის ეროვნული მოძრაობანი ურთიერთანტაგონიზმი ერთმანეთს ანეიტრალენენ, რის შედეგებსაც ყველა ნათლად ხედავს.

ჩვენ მოუწოდებთ სომხებსა და აზერბაიჯანელებს, დროებით მაინც დაივიწყონ ურთიერთში, შეწყვიტონ ყოვლად უაზრო და, რაც მთავარია, დამლუპველი ბრძოლა ერთმანეთის წინააღმდეგ, გააერთიანონ საკუთარი ძალები, რომ ყველამ ერთად, ერთიანი ფრონტით შეეუტონ კრემლს და მოვიპოვოთ დამოუკიდებლობა.

მხოლოდ ჩვენი ერების განთავისუფლების შემდეგ ექნება აზრი ერთმანეთის

მიმართ პრეტენზიების წაყენებას, დღეს კი ეს მხოლოდ კრემლს აწყობს.

თუ სომეხი და აზერბაიჯანელი მეგობრები მოისურვებენ (და ჩვენ გვწამს მათი კეთილი ნების), საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია თავის თავზე აიღებს შუამავლის ფუნქციებს და სომეხ-აზერბაიჯანელთა პირველი შეხვედრის საორგანიზაციო საკითხებსაც თავად მოაგვარებს.

ჩ ა ხ ო ლ უ ს ი ა IV

ვინაიდან ე. წ. საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არსებობა არის შედეგი 1921 წლის ანექსიისა;

ვინაიდან უმაღლეს საბჭოს არავითარი რეალური ძალა არ გააჩნია;

ვინაიდან ერთპარტიული დიქტატურის პირობებში შეუძლებელია უმაღლესმა საბჭომ შეძლოს პარლამენტის ფუნქციების თავის თავზე აღება;

ვინაიდან დემოკრატიით თამაში და უმაღლეს საბჭოს არჩევნებში მონაწილეობა მიზნად ისახავს საბჭოთა კავშირის გაძლიერებას, იმპერიის ფასადის შელამაზებას, ჩვენ საჭიროდ ვთვლით:

- ყველაფერ საბჭოთას, და უპირველეს ყოვლისა, უმაღლესი საბჭოს არჩევნებს გამოცხადოს სრული ბოიკოტი, რამეთუ პოლიტიკური თვალსაზრისით და ზნეობრივად მეც-სათვის, როგორც შეურიგებელი ოპოზიციისათვის, ამ არჩევნებთან რაიმე სახის კავშირის ტონა მიუღებელია.

უფრო მეტიც, მეც-მ, სხვა ოპოზიციურმა პარტიებმა და გაერთიანებებმა, უნდა შეძლონ ხალხის დარწმუნება ჩვენი პოზიციის სისწორეში.

ბოიკოტი უნდა ატარებდეს აქტიურ ხასიათს, რაც მდგომარეობს ეროვნული ხსნის კომიტეტის მიერ დანიშნულ რეგერენდუმში მონაწილეობასა და, რაც მთავარია, ეროვნული სათათბიროს შექმნაში.

თანდათანობით, საბჭოთა სტრუქტურების ნგრევის პარალელურად, უნდა განხორციელდეს საკუთარი დემოკრატიული სტრუქტურებისათვის საფუძვლის ჩაყრა.

ჩ ა ხ ო ლ უ ს ი ა V

საქართველოში, ამ ბოლო დროს, ძალზე გამწვავდა ერთაშორისი ურთიერთობანი. აფხაზეთი, აზერბაიჯანელებით კომპაქტურად დასახლებული ბოლნის-მარნეული, სამხრეთ ოსეთი და წოდებული ისტორიული სამაჩაბლო მტრმა ჩვენი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ვანდალად აქცია.

საქართველოს, თავისი მრავალსაუკუნოვანი არსებობის მანძილზე, არასდროს არ შეუღახავს ჩვენს მიწაზე მცხოვრები ერების უფლებები, არ შეუვიწროვებია არცერთი ერი და არც მომავალში აპირებს ამას.

დღეს კი რა ხდება?

ჩვენს ეროვნულ დროშას, საერთოდ ეროვნულ მოძრაობას ოსები, აზერბაიჯანელები, აფხაზები უპირისპირდებიან არა საკუთარი დროშით და საკუთარი ეროვნული მოძრაობებით, არამედ საბჭოთა დროშით, იმპერიის ერთიანობისა და ქართველი ერის საწინააღმდეგო ლოზუნგებით.

ეროვნულ-დემოკრატიული პარტია დარწმუნებულია იმაში, რომ ეთნოკომფლიტები ინსპირირებულია კრემლის მიერ და ქართველი ერი არ უნდა აჰყვეს პროვოკაციებს ჩვენი პარტიის აქტივისტებმა საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები ერები უნდა დაარწმუნონ, რომ საქართველოს დამოუკიდებლობა სასიცოცხლო აუცილებლობაა არამარტო ქართველი ერისათვის, არამედ საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები სხვა ხალხებისათვის - ჩვენი და მათი თავისუფლება განუყოფელია.

ამ მიზნით, მეც-ში უნდა ამოქმედდეს ერთაშორისი ურთიერთობების მარეგულირებელი კომიტეტი, რომელიც ჩვენს ეროვნულ მოძრაობაში ჩააბამს საქართველოს არაქართულ მოსახლეობას.

О Б Р А Щ Е Н И Я

К НЕГРУЗИНСКОМУ НАСЕЛЕНИЮ ГРУЗИИ

В условиях советской действительности у нас нет возможности говорить с вами на государственном языке Грузии, как и ваши родные языки, не имеют возможности развиваться должным образом.

Мы, члены национал-демократической партии Грузии, обращаемся к вам с призывом всегда помнить и полностью осознавать, что мы такие же пленники этой системы, как и вы, что нам с вами одинаково плохо и больно, и, что самое главное, повинен в этом наш общий враг, против которого мы должны бороться совместными усилиями, иначе его не победить. Наш общий враг силен своими искусными провокациями, которые, к нашему общему несчастью, нередко достигают желаемой цели, а цель эта - разжигание межнациональной вражды, т.е. "разделяй и властвуй". Особенно искусно играет центр на естественном страхе негрузинских народов, что для них в независимой Грузии не будет места, и что их просто выгонят из Грузии. С другой стороны, существуют провокаторы и среди местного негрузинского населения, действия которых иногда вызывают в части грузинского народа желаемого для провокатора реакцию. Вследствие этой двухсторонней игры народы постепенно натравливаются друг на друга, и это тогда, когда единственный выход для всех нас - сплоченность, консолидация, братство, в прямом понимании этих слов. Нам друг без друга не обойтись; кому еще, если не нам, грузинам, защищать ваши законные интересы, ваши национальные права и права человека на территории Грузии. Так будем же благодарны!

Национал-демократическая партия призывает негрузинское население Грузии: не поддаваться провокациям центра, что означает - не воспринимать отдельные выходы негрузинских и грузинских провокаторов, как волю народов, а, наоборот, самим, без постороннего вмешательства, дать ответ провокатору любой национальности, который, в первую очередь, является врагом своего собственного народа. Только таким способом удастся достигнуть нашей святой цели - независимости, которая одинаково необходима всем, и, которая принесет такое же облегчение и счастье негрузинскому населению Грузии, как и самим грузинам. Понимать это, верить в это необходимо для того, чтобы бороться со злом и чтобы его победить!

Национал-демократическая партия Грузии - НДПГ.

Обращение принято на втором конгрессе НДПГ 26.XI.89 г. 29-го ноября Обращение было поддержано Христианско-Демократической Ассоциацией молодежи Грузии и Христианско-Демократическим Союзом Грузии.

К ПОРАБОЩЕННЫМ НАРОДАМ СССР

Уже который год, в СССР идут процессы т.н. перестройки, демократизации, гласности и т.д. Хорошо осознавая истинные намерения Кремля за весь этот очередной этап развития Советской власти, видя, какие "меры предосторожности" он принимает для сохранения возможности контролировать ситуацию, становится ясно: сегодня, как никогда, необходимо координировать и разумно совмещать национально-освободительные движения всех порабожденных народов СССР.

Исходя из убеждения в нереальность выхода из состава СССР одной или нескольких республик и считая, что свободу обретут все народы входящие в состав СССР в результате полного распада империи, НДП Грузии призывает всех порабожденных народов СССР совместными силами бороться против этой чудовишной империи зла, бороться, чтобы ее разгромить, а не выйти из ее состава. Для любого конституционного требования, для любого парламентарного пути борьбы необходимо, как минимум, наличие конституции и парламента. В СССР конституция на бумаге, а однопартийного парламента в природе не существует. Поэтому борьба несуществующими путями, по глубокому убеждению НДП, наружу только Кремлю, ибо каждая ошибка допущенная со стороны политической оппозиции, продливает жизнь советской власти, которая ни на одну минуту не имеет права на существование.

НДП Грузии призывает всех политических сил в СССР, создать свои демократические институты, бойкотировать советские выборы и провести свои истинно демократические выборы и создать орган, который будет являться основой будущего парламента для наших будущих независимых государств. Только таким путем удастся создать в СССР перманентный политический кризис, которого так боится Кремль и который единственный может разгромить советскую империю.

НДПГ

26.XI.89.

მთავარი რედაქტორი ირინა სარიშვილი

სარედაქციო კოლეგია: ზარიან ბაგვაშვილი, შიძრაია იაკობიშვილი, გიორგი მცხაბავა (მთავარი რედაქტორის მოადგილე), ზვიად ძაღარია, გიორგი ზანტაია, შუკრ შიძრაია (პრესცენტრის პ/მგ. მდივანი).